სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/11

ქ. თბილისი

5 თებერვალი 2026წ.

2020-2026 წლებში სტუ-ს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებში სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მოწონების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 5 თებერვლის №01-05-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოსმენილ იქნა ინფორმაცია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რემონტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 60 (სამოცი) მილიონი ლარის არამიზნობრივად ხარჯვის თაობაზე ინტერნეტსივრცეში, კერძოდ ინტერნეტ პლატფორმის PUBLICIST.GE-ს მიერ, გავრცელებულ ცრუ და დაუსაბუთებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსის, გიორგი ჭუმბურიძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - 2020-2026 წლებში სტუ-ს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებში სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული დაფინანსების შესახებ.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით უნივერსიტეტისათვის ჩარიცხული და გახარჯული თანხების თაობაზე. კერძოდ 2020-2026 წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ჩაერიცხა და მიზნობრივად (დადასტურებულია შესაბამისი შედარების აქტებით) გაიხარჯა თანხები შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

ინფორმაცია 2020-2026 წლებში სტუ-ს მიერ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული დაფინანსების და ხარჯვის შესახებ

წელი	ჩარიცხვა (ლარი)	ათვისება (ლარი)	შემსრულებლის დასახელება	გადარიცხული თანხები (ლარი)	შესრულებული სამუშაო
2020	1 079 055,00	918 098,98	შპს სამშენებლო კომპანია#1	500 000,00	დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაცია
			შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	2 000,00	კიბერნეტიკის ინსტიტუტში წყალმომარაგების მოცულობის გაზრდა
			შპს გრუსია	416 098,98	_სტუ-ს ადმინისტრაციული შენობის სახურავის, ფასადის და ლიფტების რეაბილიტაცია. IX და X კორპუსების მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები; _სსც ,,ანალიზხელსაწყო"-ს წყალმომარაგების გარე ქსელის მოწყობა, მცირე სარემონტო სამუშაოები _კიბერნეტიკ.ინსტიტუტის შენობაში მცირე სარემონტო სამუშაოები
2021	2 607 881,53	2 658 978,78	შპს სამშენებლო კომპანია#1	2 643 086,88	დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაცია
			შპს თბილისი ენერჯი	15 891,90	სსც ,,ანალიზხელსაწყო"-ს გამრიცხველიანება
2022	1 125 833,61	866 592,04	შპს სამშენებლო კომპანია#1	289 433,23	დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაცია
			შპს ჰესპია-მური	512 429,81	ბიოტექნოლოგიის ცენტრის, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის, მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის, ინსტიტუტი ტექინფორმის შენობების სარემონტო სამუშაოები
			შპს იმგო	41 453,00	პროფესიული პროგრამისთვის - კომპიუტერული სისტემების და ქსელების მონტაჟი
			შპს ყველაფერი მშენებლობისთვის	22 999,00	პროფესიული პროგრამისთვის - ჩარხების შეძენა

			ი.მ.თორნიკე წიკლაური	277,00	პროფესიული პროგრამისთვის - მცირეფასიანი აღჭურვილობის შეძენა
2023	3 286 272,74	1 665 890,13	შპს გრუსია	309 445,03	სტუ-ს მე-6 სასწავლო კორპუსის ნულოვანი ციკლის (საძირკვლების) კონსტრუქციული გამაგრება
			შპს გრუსია	109 783,00	აგრარალურ ფაკ. სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობა
			შპს_მეგავატ.ჯი	386 400,00	სტუ-ს მე-6 კორპუსის რეაბილიტაციისთვის არქიტეტურული, საინჟინრო და დაგეგმარების მომსახურებები
			შპს ლაინკუბი	656 625,00	სტუ-ს მე-6 კორპუსის რეაბილიტაციისთვის არქიტეტურული, საინჟინრო და დაგეგმარების მომსახურებები
			შპს ჯეოსტილი	68 900,00	მთის ფაკულტეტისთვის ავეჯის შესყიდვა
			შპს ლემი	120 470,66	მთის ფაკულტეტის - სარემონტო-სარეაბილიტაციო სამოუშაოების განხორციებება
			შპს სითიბილდი	14 266,44	ჰიდრომეტ. ინტუტის სახურავის რეაბილიტაცია
2024	2 416 108,47	2 955 149,03	შპს გრუსია	1 304 019,67	სტუ-ს მე-6 სასწავლო კორპუსის ნულოვანი ციკლის (საძირკვლების) კონსტრუქციული გამაგრება
			შპს გრუსია	1 269 949,00	აგრარალურ ფაკ. სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობა
			შპს_მეგავატ.ჯი	257 600,00	სტუ-ს მე-6 კორპუსის რეაბილიტაციისთვის არქიტეტურული, საინჟინრო და დაგეგმარების მომსახურებები
			ი/მ_პაატა_ნუცუბიძე	119 700,00	დიდი ჯიხაიში - არქიტეტურული, საინჟინრო და დაგეგმარების მომსახურებები
			შპს თბილისი ენერჯი	3 880,36	ბიოტექნოლოგიის ცენტრის - გამრიცხველიანება
2025	0,00	1 374 121,21	შპს გრუსია	595 093,21	სტუ-ს მე-6 სასწავლო კორპუსის ნულოვანი ციკლის (საძირკვლების) კონსტრუქციული გამაგრება
				779 028,00	აგრარალურ ფაკ. სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობა

	ჯამი: 10 515 151,35	**ჯამი: 10 438 830,17**			

3. ამ დადგენილების პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით, დაევალოს უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს განახორციელოს შესაბამისი აუდიტორული შემოწმება უნივერსიტეტისათვის 2020-2026 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ჩარიცხული თანხების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ და სათანადო დასკვნა განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**